# ნიანგი №25



დახტიან, წყალსა ნაყავენ,
მტვერს აყენებენ, მსჯელობენ...
ხან მარჯვენით შემომივლიან,
ხან „მარცხნით“ ჩხირკედელობენ.

ერთად ჩაუბამთ ფერხული,
ხმა ისმის მეტად მჭექია...
აქეთ ჭინჭრაქა ბზბოქრობს
და იქით ნაცარქექია.

გამიშვით, გზას ნუ მილობავთ,
შორს ჩემგან ყველა ცბიერი,
თორემ მთლიანად გაგსრესავთ —
შრომის ქარ-ცეცხლი ძლიერი!

საქ. მეცნიერებათა აკადემია ... ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Грищашвили
Академия наук

# კიდევ ერთი კამპანია

კამპანია
თქვენც ხომ იცით,
ხელადით და
ხ[illegible]ი ყანწით,
ჯერ დედლები,
მერე წვადი,
იქ რა არის,
დასაქანცი!..
სოფლად ასეთ
კამპანიებს
ხშირად ხვდებით
ჩვენში ალბად-
ცინ იცის თუ
რაოდენი
საბჭოს წევრი
ღვინით დალბა...
პ[illegible] მარილი,
ქელეხები...
ქორწილი და
მერე ნათვლა...
დამეთანხმეთ,
ყველას უყვარს
დედლისა და,
ხუკის დათლა...
მაგრამ კმარა,
მე ამაზე
საუბარი
როდი მსურდა!
ძველ საბჭოებს,
როგორც იცით,
უკვე ყავლი
შეუსრულდა.
მოკლე ხანში
ხელახალი
არჩევნები
უნდა მოხდეს,
უქიათა და
უვარგისი
საბჭოში რომ
აღარ მოხვდეს...
სწორეთ მიტომ
ზოგიერთებს
დღეს შექმნიათ
მოთქმა-ვიში...
რადგან ხვალ-ზეგ
ამომრჩევლებს
უნდა მისცენ
ანგარიში...
ვინ შრომობდა
გულდაგულად,
მშრომელ გლეხთა
გასახარად
და ვინ იყო
რო? იბრძოდა
კულაკების
დასახმარად...
შოლტკორებო,
აბა ნახეთ
მათი ღვაწლი,
შეამოწმეთ!..
ზოგი თუ ოფლს
იწურავდა,
ზოგი ოჯდა
როგორც მოწმე!
ზოგი საქმით
მხარს აძლევდა

კოლექტიურ
შრომის ძალას
და ზოგს კი
იყო მხოლოდ
საცოდავი
მაჩანჩალა...
ამას კიდევ
ვინა ჩივის,
ვაპატიებთ
იქნებ ჩანჩალს,
ზოგიერთი

კოლექტივებს
უმიზნებდა
თოფს და ხანჯალს...
კულაკობის
მოძმე გახდა,
ღარიბების
დაცვის ნაცვლად,
რომ მოგვესპო
მტრის ბუნაგი
არ უნდოდა
ჩვენთვის დაცლა...

საბჭოებში
იყო კიდევ
„მოვლენები"
ათასგვარი.
ზოგი მღვდელთან
ქეიფობდა
და ეკიდა
მკერდზე ჯვარი...
ზოგი მარტო
წევრი იყო
და ეხკუპა
ახლში უქმად,
რის სოფელი,
ან რის საბჭო,
ჰქონოდა კი
ტკბილი ლუკმა..
ზოგი იყო
ჩხირკედელა,
ტუნია და
მარტო ენა...
არც საბჭო
და არც გლეხები
რეჩებით არ მოასვენა...
ჰო და, აი
ამ ლაშქარის
შემოწმება
უნდა მოხდეს.
არ გადაგვრჩეს
და არ გაძვრეს
ვისაც უნდა
მაგრა მოხვდეს!..
გლეხების წინ
გამოვფინოთ
დაუნდობელ
თვითკრიტიკით,
ვინც ჩვენ საქმეს
და ჩვენს ბრძოლას
აბრკოლებდა
ათას ხრიკით...
ვთქვათ ნაკლიც
და მიღწევებიც,
ნუ ავყვებით
მტრების ნარჩევს...
უვარგისი—
შორს საბჭოსგან,
ვარგისი კი
ისევ დარჩეს!..
ასე, მწყობრად,
ყველამ ერთად,
კლასობრივ მტერს
მტკიცეთ დავცხოთ!
და ძირ დამპალ
ძველი ქვ[illegible]ნის
ყველა ნაშთი
დავამარცხოთ!
საბჭოების
არჩევნებში
ვიყოთ ერთად,
ვიყოთ მტკიცედ.
დავამარცხოთ
თუ კი დღემდის
მტერთან ბრძოლა
დავამტკიცეთ...
ჩვენი რწმენა
გაიმარჯვებს.
და ეს ბრძოლა
ჩვენთვის იყოს...
რომ სუყველა
ორპირი და
ორჭოფები
გაირიყოს!

შოლტიანი.

საანგარიშო
საარჩევნო
მოხსენების წინ



საბჭოს თავმჯდომარე: შენ გენაცვალე, დავიწყებ თუ არა საანგარიშო მოხსენებას, გაიქეც და ზარების რეკა ასტეხე... ხალხს ცეცხლი ეგონება, იქით გაიქცევა და მე შერცხვენას გადავრჩები...

# საყოველთაო სწავლების ფრონტზე



საბჭოს თავმჯდომარე: (მასწავლებელს) რალას კანკალებ, ხედავ თქვენს ფანჯრებს მთლად ახალი ჩარჩოები ჩავუსხი...

მასწავლებელი: ჩარჩოები კი გამოსცვალეთ, მაგრამ მინების ჩასმა დაგავიწყდათ...

## „ჭკუის კოლოფი“

ამბობდენ, თერჯოლის გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. მ. არჯევანიძე დიდი ჭკუის კოლოფიაო. მე ეს არ მჯეროდა, სანამ მე თვითონ ჩემის თვალით არ ვნახე და არ დავრწმუნდი.

— თქვენ ბძანდებით გლეხკომის თავმჯდომარე?—გლეხკომში შესვლისთანავე შევეკითხე მ. არჯევანიძეს და დარწმუნებული, რომ სწორეთ ეს იქნებოდა ის „ჭკუის კოლოფი“, რომლის შესახებაც დიდი ქება-დიდება გამეგონა, ორივე ხელი გავუწოდე და იქნებ ერთს გადავკოცნიდი კიდეც, რომ მისი სტომაქიდან მძლავრად ამონასუნთქ ღვინის ოხშივარს არ დავეფრთხე... (?) ვერეტიანებინე.

— მე გახლავართ, დაბრძანდით.—მიპასუხა თავაზიანად და შემდეგ იქ მყოფ ხალხს მიუბრუნდა:—ამხანაგებო, სტუმარი მეწვია თბილისიდან, ეხლა მაგის დრო არ არის, ეგ საქმე შეიძლება ხვალ, ზეგ, თუნდა ერთი თვის შემდეგაც გაკეთდეს, ეხლა კი მიბრძანდით, სამაგიეროთ ვეღარ მოვიცლი, სტუმარს საკადრისად დახვედრა უნდა...

— რას ბრძანებთ, ამხ. თავმჯდომარე, ჩემი გულისთვის საქმეს ნუ გადასდებთ, პირიქით, განაგრძეთ...

— არა, შენი ჭირიმე, ჩვენ ისეთი საქმე არაფერი გვაქვს.—მომიგო თავმჯდომარემ,—ეს ამხანაგები ამტკიცებენ გინდა თუ არა ჩვენც უნდა მოვაწყოთ ღარიბთა ჯგუფი და მათ შორის მუშაობა გავაჩაღოთო...

— მაშ როგორ გინდა კაცო, ვერ უყურებ, რომ კულაკები ყოველ მხრიდან გვიტევს?!—მიაძახა ვიღამაც.

— ჰო-და აი, რომ გვიტევენ, ამიტომ ღარიბთა შორის კი არ უნდა გავაჩაღოთ მუშაობა, საჭიროა ეს მუშაობა გადავიტანოთ კულაკებს შორის და ისე ვიმუშაოთ, რომ ყველა ესენი მივიზიდოთ და დავაახლოვოთ საბჭოთა ხელისუფლებას...

ახლა კი მართლა დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილი „ჭკუის კოლოფი“ ყოფილა. „აფსუსია“ ასეთი კაცი გლეხკომის თავმჯდომარეთ იყოს, ესაც, ალბათ, ბედის საქმეა.

**ნისკარტა.**

## სცენა ეკლესიაში

ხუცესი. (ტრაპეზის კარი გააღო და შეხედა ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს — სიხარულით) დიდება ღმერთს! (პირჯვარს გადისახავს—ღიმილით) კურთხეულარს ღმერთი ჩვენი... ალილუია, უფლისა მიმართ ვილოცოთ... ღვთისმშობელო, ქალწულო მარიამ, მოჰმადლე ამ სატანის ხელიდან დახსნილ შვილთ და, იესო ქრისტევ, ამატე ცოდვანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი.... (აურია) რამეთუ არა იციოდენ თუ რასა იქმოდენ..

დიაკვანი. ამინ! (ცალკე) რას მიჰქარავს აწი ეგი ხუცესი; დაბერდა და ჰამოჩერჩეტდა?!

ხუცესი. დაიფარე და გააძლიერე კომკავშირი, რათა...

დიაკვანი. (ცალკე) აწი წვერის გაპარსვას ხომ არ აპირობს?! ნამდვილად გედირია და იგაა!.. (ხმამაღლა) აიიიაააამინ!...

ვალიკო. გესმით, რავა გვლოცავს ხუცესი?

1. აკაკი. ა? დავიჯერო?! მაი იშკილი არ იყოს, და..

კალენიკე. თუ არ დაიჯერებ, იყავი მასთე! ვერ უყურებ რავა გულწმინდათ ლოცულობს?!

2. აკაკი. რაი განსხვავებაა ჩვენს უჯრედსა და ამ ეკლესიას შორის? იქნება იმასვე არ ვამბობთ, რასაც აქანე ხუცესი ამბობს: გავაძლიეროთ კომკავშირი?! ა?

ხუცესი. (ყური მოკრა, იამა) წმინდაო გიორგი! შეიწყალენ და შეუნდე რაიც შენ შეურაცხყვეს, რათა, იქნებ ყველა უჯრედის წევრებმა მიბაძონ სვირის მეორე უბნის ცენტრალურ უჯრედის კომკომოლებს, და..

დიაკვანი. (ყურში) მამაო, ნუ გადაუხვიე წესს..

ხუცესი. (ჩუმადვე) სუ! შე ვირო! ვერა ხედავ იმგენს, ძლივს მოსულან ჭკვაზე და არ აკლდებიან ხოლმე წირვა-ლოცვას!

დიაკვანი. კი მარა, ვარს რეიზა ხმარობ, მამაო, რავა გეკადრება; კაცურად ვერ იტყვი?! (მაღლა) უფლისა მიმართ ვილოცოთ...

გლეხი. (შეიხედავს და ნახავს კომკავშირელებს: ვალიკო, კალენიკე და აკაკი დიბრაძეებს და პარტიის წევრ აკაკი მიხეილის ძე ლობჟანიძეს, რომელნიც ზოგი სანთელს ანთებს, ზოგი მუხლის ჩოქით ეხვეწება რაღაცას „ღვთისმშობელს“) ვაი თქვენს პატრონს! მაგია მებრძოლი ურმეროთოები ვართო?! ა? რაზე არ ცხვენით პარტიას და კომკავშირს?!

ხუცესი. (გლეხისკენ) განვედი კათაკმეველონო!..

დიაკვანი. აააიიააიაამინ!!!

**ამბა!**

## გრემის ხევის საბჭო

საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის გამო, მომაგონდა თქვენი საბჭოს დამსახურებული წევრი სანდრო ციგრიაშვილი. გთხოვთ ეს ბარათი მას პირადათ გადასცეთ—საკუთარ ხელში.

გამარჯობა სანდრო!

კაცო, რა დიდი ამაგი გაგიწევია ციგრიანთკარელ კულაკებისთვის, იქნებ არც კი გაქვს წარმოდგენილი! აქ—ტფილისში შემხვდა ორი მათგანი, შენ ალბათ მიხვდები, ვინ... გაიგეს თუ არა, რომ მე შენი მახლობელი კაცი ვარ, შემომეხვივენ და ვიდრე სასადილოში არ შემათრიეს ძალისძალად,—თავი არ გამანებეს...

— რას ამბობ კაცო, შენ სანდროს მეგობარი ხარ და ისე გაგიშვებთ?..

თვალის ერთ დახამხამებაში ისეთი სუფრა გაიშალა, რომ ჩიტის რძეც არ გვაკლდა...

— ეს გაუმარჯოს ჩვენს ძმასა და პირის ზიარება სანდროს, რომელმაც ციგრიანთკარში, მიუხედავად ღარიბების მოთხოვნისა, ერთის ხელის დაკვრით დაშალა კოლექტივი... და ჩვენი მიწები—ჩვენვე დაგვიტოვა... გაუმარჯოს სანდროს და, სანდროსთან ძმაბიჭებს, რომლებიც ჩვენისთანა ხალხისთვის არაფერს ზოგავენ... —სთქვა ერთმა და ყანწი ძირამდე გამოხუხა....

მეორემ უკეთესი თქვა.. მეც რა თქმა უნდა... ხომ იცი რას ვიტყოდი.

ეს კიდევ არაფერი.. სუფრიდან რომ ავიშალენით, ქუჩაში ერთი თქვენებური ბობოლა შემხვდა... სულ შენ მზეს ლოცულობდა.

გვარს შენ მიხვდები.. ყალბი მოწმობა მიგიცია ვითომ ხარი მოუკვდა... სახდაზღვევიდან ფული მიუღია. ხარი ბაზარზე გაუყიდნია..

ბევრს მეპატიჟა, მაგრამ აღარ შემეძლო... ძლივს ვიდექი ფეხზე..

ასე უნდა ჩემო სანდრო... ასე უნდა შეაყვარო ხალხს თავი.

მალადეც, მალადეც მედაჩემმა ღმერთმა..

**შენი ხახრე-ურტყიაშვილი.**

# მოთქმა



გაგეგონებათ კახეთში
არის სოფელი ანაგა.
გვალვის ბრალია, ტიალმა
წყალი მთლად გაანაგა.
ხანა გაუშრა წყაროებს,

გლეხებს შექმნიათ გოდება,
გაჩადებულა ლოდინში
კრივი და მუშტის მოდება.
ქალები სცხებენ ერთმანეთს,
მტერს აყენებენ ვირებს.
კოკები ყრია რიყეზე,
ვით დახოცილი გმირები.
ისმის ღრიალი, კივილი,
წყევლა, ლანძღვა და გინება...
სოფელ ანაგის საბჭოზე
მოდი—ნუ გაგეცინება!..

ბაიდარანელი.

# ველისციხე

სასადილოს გამგეს მინდა ვეთქვა,
ვერ გავიგე მათი საქმის მე გემო;
აქ სადილმა დამიკარგა გრძნობა მე
და მათ მიმართ აღარა მაქვს ნდობა მე.
ხან მყავვა, ხან კი მლაშე არისო,
ჩემი გული ბოღმა-დარდით აივსო.
აქვე ხურდას ვერ იპოვი სრულადა,
რომ გინდოდეს ერთი გროში ფულადა.
ნეტავ ხურდას — საით ერეკებიან,
ხომ არ სჭამენ, ანდა რას უშვრებიან?!

ლენტო.

## იურიდიული რჩევა-დარიგება

კითხვა. რა სახის „ნათლიმამობა" არ ისჯება კანონით?

პასუხი. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალ „შოლტი"-ს ხელის მომწერი თავის ნათესავებსაც გააწერს ამ ჟურნალის ხელის მომწერად, ასეთი „ნათლიმამობა" კანონით არ დაისჯება.

კითხვა. დასჯის თუ არა კანონი ზემო-ბალითის საბჭოს თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მან კულაკს სილარიბის მოწმობა მისცა, ხოლო ამაში მან კულაკისაგან ფეშქეშად ერთი ფუთი ყველი მიიღო?

პასუხი. კანონი დასჯის, მაგრამ შეიძლება თქვენი უბნის მოსამართლემ არ დასაჯოს, რადგან ერთმანეთში ნათლ-მირონი აქვთ.

ფიშტოიანი.

## „დიდი კაცი"

— დიდი ჯიხაიშის საბჭოს თავმჯდომარე დიდი კაცია...

— რაში გამოიხატება მისი დიდკაცობა?

— იმაში გამოიხატება, რომ მან დემობილიზაციაქმნილ წითელარმიელ ბიძინა ახვლედიანს წითელარმიაში ყოფნის დროს ერთი ქცევა ხელოვნურად გაშენებული ეკლის ხეები გადაუჩეხა. მუშგლეხინმა ამის შესახებ გამოიტანა დადგენილება და საბჭოს თავმჯდომარეს მოსწერა, რომ ახვლედიანისათვის აენაზღაურებინათ ზარალი, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ ამ მოწერილობას ყურადღება არ მიაქცია. სჩანს, ჩვენი თავმჯდომარე მუშგლეხინზე მაღლა სდგას.

ფიშტოიანი.

# ქეიფი



„დამისხი დამალევინე
ე ღვინო ოხერ-ტიალი"...
ყვირიან პუნქტის „გმირები",
არის ყანწების ტრიალი...
ხოსრუაშვილი ბობოქრობს:
—თავში მოვიდა საინი!—
მრავალჟამიერს ხშირად სცვლის
განება ათასნაირი...
ქირომე შენი ნუნუაკ,
იცი დალობა ყელის.
შენის ეშხით და ლაზათით
რამდენი მიიმღერისა...
ხოსრუაშვილს და ჩალაურს
არ ჩაუშხამო ლხინია...
პუნქტში სხედან და ვაშლს ჭამენ
ორივე კმაყოფილია!

ისარი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. შოლტიანო!

ხალხაც ყური მოვკარი—საყოველთაო სავალდებულო სწავლების ათ - დღიური უნდა ჩატარდესო. ეს ათდღიური მგონი უკვე ჩატარებულია კიდეც, მე კი აქამდის არაფერი ვიცოდი.

გთხოვთ გამაგებინოთ რა მნიშვნელობა აქვს ამ ათდღიურს, იქნებ მომავალ წელს კიდევ ჩაატარონ ეს ათდღიური, მაშინ მაინც გამომადგება.

გთხოვთ ეს საკითხი სათანადოთ განუმარტოთ აგრეთვე ცხრამუხის და იტრიის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებსაც, რადგან ისინიც სწორეთ ჩემს დღეში არიან. მიიღე, როგორც ჩემგან, ისე ცხრამუხის და იტრიის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისაგან უგულითადესი სალამი.

ხცისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

## გაპარული

შოლტიანო, ვიზედაც მე
გიამბობ და გეტყვი ახლა,
მასწავლებლად არის კარბში
მახარაძე—გვარად გახლავთ.

— : —

გეუბნები და მწამს, რომ შენ
გადაურტყამ ზურგზე ბლომად,
წიგნებისთვის მოწაფეთგან
ფული ბევრი მოაგროვა...

— : —

მაგრამ მან ხომ ხერხი იცის,
რომ შემატოს თავის ჯიბეს?
—ამ ფულებს მე მოვიხმარებ,
ამას ხომ ვერვინ გაიგებს...

— : —

ასე ფიქრობს, ერთი აზრი
გადასწყვიტა, გაიხარა
და ერთ ღამეს ჩუმათ სადღაც
იმ სოფლიდან გაიპარა...

— : —

—სად წავიდა „უჩიტელი"?
ამის ხმები წარა-მარა,
აგერ სამი კვირაა და
იგი კარბში არ სჩანს, არა!

არიო

[redacted]

# „შოლტის" პარადზე

—სმენა! დაუგდეთ ყური!
აჰა, ვმართავ აპარატს...
ვის სურათსაც გადვიღებ:
გაჩვენებთ იმათ პარადს!
სასჯელი თქვენ მიუზღეთ,
ვის რა ნაკლსაც უნახავთ...
დასცხეთ, არვინ დაინდოთ—
ხათრს ნურვის შეუნახავთ!
—თურმე, თერჯოლის გლეხკომს
ვილაც უჭერს ყელშია...
რა ვქნათ, იგი მთლიანად,
კულაკების ხელშია!..
გლეხკომის თავმჯდომარე
გულ-ხელ დაკრეფილია...
თუმც არაფერს აკეთებს—
მაინც კმაყოფილია!..
—კლდეთის ორგანიზაციებს
დაუყრუვდათ ყურია...
გადასახადს არ კრეფენ—
გახსენება სწყურიათ?!
თავს სულ არ იწუხებენ—
დაუღიათ პირია...
ვერ შეასრულეს სოფლის
საქმე დანაპირია!..
—შალიკო კურბათოვი
სურამის ტყის „მცველია".
ღარიბთ, წნელის მოჭრისათვის,
ზურგზე წნელით მწვნელია!
ნაცნობთათვის კი ძალზე
იგი მუდამ უხვია...
ნებას აძლევს ვინც ტყეში
ნაძვის ჭრად გადუხვია!..
—დიდ-ჯიხაიშის საბჭოს
თავმჯდომარე ვინ არი?
რა უნდა გააკეთოს,
რომ დარჩეს უჩინარი?!
წითელარმიელთ ოჯახს
როგორც სურს—ატრიალებს...
დახმარების მაგიერ—
რაცა აქვთ, ატიალებს!..
—ზემო-ქედელ კულაკებს
აჰქავიათ ზურგია...
ყველას სახლ-კარს უწვავენ,
ვინც იმათთვის ურგია!..
თუმც თავს იკატუნებენ—
თითქოს არსად სტყუიან...
ცოფიან ძაღლივით კი
ყველგან ერთად ღმუიან!..
—სვეტმაღლის წითელ კოლონის
ხელმძღვანელი არ ვარგა...
ქვრივ-ობლებს არ ეხმარება,
სოფელს ზურგს აზის ბარგად!..
—გამოჩინებულს, ქორიძე
სამკითხველოს განაგებს...
კულტურულ განვითარებას
ის აქ არ აბანაკებს!..
—ნიგოითის არტელში
საქმე ხდება ასეთი:
თუმცა გამოწერილი აქვთ—
ვერ მიიღეს გაზეთი!..
—სოფელ გურამისკარში
ჰყავის კოლექტივია...
ღარიბებს უხარიათ—
ბობოლები ჩივიან!..
ლაბაურს სურს დამალოს,
გოგლაური ტაშს უკრავს...
სოფლის საბჭო, რატომღაც,
გუდა-ნაბადს არ უკრავს!..
—დღნორისაში თარეშობს,
ტრიფონ ახვლედიანი...
მთავრობაზე დორბლებს ჰყრის,
როგორც რომ ბნედიანი!
ძველად პოლიციელი—
ახლა „ყველაფრით" ვაჭრობს...
გლეხებს ჰორებით ტვირთავს—
ისევ ნიკოლოზს ნატრობს!..
—ქისტაურის ალმასკოის
„თავობს" ქოჩიაშვილი...
შიშის ზარს ჰგვრის ყველას და
არის ქეჩო აშლილი!
ვაჭარ ბალდოს ქალიშვილი
მდივნად გვერდზე უსვია...
ნუთუ კისერში მათთვის
ვერვის წამოუსვია?!
—ძველ სენაკის საბჭოს მამულს
არ ჰყავს თავი, ეტყობა,
საქმის კარგად დაყენების
რომ არა სურს შეტყობა!..
თხილი მთლად წაახდინეს—
იარაღიც ფუჭდება...
„შოლტმა" იცის ასეთ ხალხს
რა წამალი უხდება!..

ტარზან

## აღმოვაჩინეთ ახალი საშუალება

მოგეხსენებათ წერილების მიმოწერის გაადვილება, რა აუცილებელია ჩვენთვის, დღეს — როდესაც უბრალო წერილი ერთი სოფლიდან მეორემდე მთელი კვირაობით იგვიანებს. ამისათვის გადავწყვიტეთ მექვენის რაიონში ყველა საფოსტო ყუთები ღია დავტოვოთ.

არავინ იფიქროს — ეს გამოგონება ჩვენ სახელს ამაღლებდეს. ჩვენ მხოლოდ გვაინტერესებს საქმის სამსახური. ჩვენ გვინდა მსოფლიო გამოგონებათა ისტორიაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ჩვენ ვფიქრობთ მთელი ქვეყნის მიმოწერაში გადატრიალება მოვახდინოთ.

ყველა ვისაც კი წერილის გაგზავნა უნდა, წერილს ჩაუშვებს ღია საფოსტო ყუთში. ამავე დროს, ვინც წერილს მოელის საიდანმე, მიდის, ღია ფოსტის ყუთიდან იღებს მის სახელზე მისულ წერილს...

ამ საშუალებით ვაღწევთ, დიდ ეკონომიას. ისპობა ფოსტის დამტარებლის თანამდებობა და დაკეტილ საფოსტო ყუთში წერილების დაგროვება აღარ ხდება.

ჩვენმა ცდებმა ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. მთელი რაიონის ღია საფოსტო ყუთებში დღემდე არც ერთი წერილი არ აღმოჩენილა...

გამომგონებელი — მექვენის ფოსტის გამგე (ბვარი ბაურკვეველია).

## გლეხობის საყურადღებოდ

თერჯოლის საექიმო პუნქტის გამგე სიმონ მაჭავარიანი მეუღლით (პუნქტის გამგის თანაშემწე) ვაცხადებთ, რომ ორშაბათობით დავიარებით სოფ.-ში სურსათ-სანოვაგის შესაძენად, სამშაბათობით ვიმყოფებით სტუმრების მიღების სამზადისში, ოთხშაბათობით გვაქვს წვეულება, ხუთშაბათობით დაღლილ-დაქანცულები ვისვენებთ, პარასკეობით ჩვენ თითონ მივდივართ სტუმრად, შაბათი და კვირა კი—განუწყვეტელ კვირაზე გადასვლის გამო — გავაუქმეთ.

ამიტომ ზემოაღნიშნულ დღეებში საექიმო პუნქტი დაკეტილია და გლეხობა ტყუილად ნუ შეიწუხებს თავს.

პატივისცემით

ჭინჭარი სუსხიაშვილი.

## უდარდელი კაცი

(სოფ. ზუგდიდი)

კოლექტივში შევძვერი,
გამგეობის წევრი ვარ.
ვლოთობ და ვტარიელობ,
ჩემთვის ყველაფერი ვარ!
ღვინოსა ვსვამ კვარტობით,
მუდამ ბედნიერი ვარ.
მიყვარს აყალ-მაყალი,
და გლეხების მტერი ვარ...
თუმცა მძულს, მაგრამ მაინც
კომკავშირში ვწერივარ,
გიორგი მყავს პროტექტორი
და მით ბედნიერი ვარ!..
სამსახურშიც შევძვერი
თუმცა გამფლანგველი ვარ.
სიძე ხელებს მაფარებს,
თუ ფულების მჭამელი ვარ.
სახელად ვასო მქვია,
ავ-კაცობის მჭირო ვარ.
გვარად მაქაცარია
ვლოთობ, ბედნიერი ვარ!..

თელოლურელი

# „ერთგული მებრძოლები“

სიღნაღის ცეცხლის მქრობელი რაზმი ნამეტანი ერთგულად ირჯება... საკმარისია პატარა კვამლს მოჰკრან სადმე თვალი, რომ სახანძრო განგაში ასტეხონ...

გლეხკორის წერილიდან



— არიქააა... ცეცხლი, ცეცხლი!

— ვა, ვა... რის პაჟარი კაცო, წვადი ერთიანად ნუ გამიოხრეთ...

## თავმჯდომარის მუქარა

— მოგიკვდეს ბიჭო პავლე ღვინიაშვილი თუ არ დაგანიოს ქობსამკითხველოს გამგეობიდან. განა იმიტომ დაგაყენეთ სამკითხველოს გამგედ კედლის გაზეთში გამწერე მეთქი?—აი შენ წუწკო, მიგიხვდი თუ არა!!

— რას მეჩხუბები კაცო, რა დაგრჩენია ჩემთან, რომ გადამეკიდე! გელაპარაკები, არაფერი დამიწერია შენზე!

— როგორ თუ არ დაგიწერია მაშ ვინ დასწერა კედლის გაზეთში ხციის საბჭო და თავმჯდომარე არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქარხლის კონტრაქტაციის საქმეს, არ ემზადება საბჭოს არჩევნების კამპანიისათვის და არც სიმინდის დამზადებაზე იწუხებს თავსო?

— ეგ ყველაფერი მართალია. მარა დამწერი არ ვიცი, ვინ არის.

— მაგით გინდა იმართლო თავი? არ გაგივა არა. სულერთია ჩემს ხელში ხარ. ერთი კრება მოვიწვიო და მე მკითხე როგორ პანღურის ცემით გაგაგდო შენ და შენი კედლის გაზეთი სამკითხველოდან.

ასე ემუქრებოდა თავმჯდომარე ღვინიაშვილი სამკითხველოს გამგე მხალაძეს...

ვნახოთ, როგორ შეასრულებს მუქარას!

**ბზიკი.**

## ანგარიშს აბარებს

— ამხანაგებო, — დაიწყო თავისი მოხსენება, რიხიანად, ყვიბისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვანო გელაშვილმა, — სანამ მე ჩემს მოხსენებას შევუდგებოდე და დაწვრილებით გაცნობებდეთ საბჭოს მუშაობას, ესე იგი, ჩემს მოღვაწეობას, მე მინდა წინასწარ ავღნიშნო ის, თუ რამდენი შრომა და ამაგი დამიხარჯავს მე ჩვენი სოფლის საკეთილდღეოთ, რომელსაც იმედია, დამიფასებთ.

მე, ამხანაგებო, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი და ვაქცევ კოლმეურნეობების ზრდას, მაგრამ, ამხანაგებო, ამ საქმის შესრულება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გახდა, რადგან ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ეს შეუძლებელი იყო, შემოდგომაზე ხვნა-თესვა გვქონდა, ხოლო ზამთარი ისეთი ცივი გვიდგება, რომ ძაღლი გარეთ არ გაიგდება და მე ხომ ადამიანი ვარ.

შემდეგ უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, სილოსის შესახებ. ეს საქმე, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ ამას დრო უნდოდა, სა ამისო დრო კი ჩვენ არ გვქონდა.

რაც შეეხება თანხების მობილიზაციას, ეს საკითხი რამდენჯერმე იდგა დღის წესრიგში და დღესაც დგას.

რა თქმა უნდა, ყურადღებიდან არ გამპარვია არც საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმე. სამი წელიწადია ვაშლოვანში დავიწყეთ სკოლის აგება, თუმცა ჯერ-ჯერობით არ მოგვითავებია, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ერთბაშად ქვეყანა არავის აუშენებია.

ამხანაგებო, ეხლა ვიღამაც მოძახა — ლოთობ და საქმეებისათვის ვეღარ იცლიო.

მართალია, ვლოთობ, ვსვამ ღვინოს და ვსვამ მხოლოდ იმიტომ, რომ ღვინოში მაინც ჩავკლა სოფლის ყველა ის დარდი, რომელიც მე მაწუხებს როგორც სოფლის პატრონსა და ხელმძღვანელს.

შეიძლება ისიც მისაყვედუროთ, რომ მე ზოგჯერ გლეხებს ვუყვირი და ვლანძღავ ხოლმე, ეს ამხანაგებო, ნერვების ბრალია, ნერვები მაქვს მოშლილი. ხუმრობა ხომ არ არის, ამოდენა სოფელს ედგე სათავეში, ამოდენა საქმეებს აკეთებდე, შინაურსა და გარეულ მტერს უხვდებოდე და...

— გეყოფა, გეყოფა ქათინაურები.—მიაძახა ვიღაცამ დარბაზიდან.—იმ დღეს როგორი იყო, რომ ქორწილში დაითვერი და შემდეგ იქაურობა რევოლვერის სროლით აიკელი?!

— ამხანაგებო, მე გთხოვთ ჩემს პირად ცხოვრებაში ნუ ჩაერევით. სიმთვრალის დროს კაცი კაცსა ჰკლავს და მე რომ რევოლვერი ვისროლე ჰაერში, მაგით განა რა დაშავდება! მით უმეტეს დღეს, ამხანაგებო, როდესაც შინაური და გარეშე მტერი შემოგვსევია, — ყოველთვის და ყველგან, ქორწილში კი არა ქელეხშიც რომ იყო, მტერს უნდა აგრძნობინო, რომ შენ მზად ხარ თავდაცვისათვის...

მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარემ თითქმის 3 საათს ილაპარაკა ტკბილად და ენაწყლიანად, სოფელში მაინც ხმა არის გავრცელებული, რომ შეიძლება თავმჯდომარე გელაშვილი გამოცვალონო.

**იფნი.**

## სიზმრის ახსნა

### სტალინისისათვის

1) თუ სიზმარში ბარგაკიდული ტურისტი ნახე, იცოდე, რომ სტალინისის დაწესებულებები აქეთ-იქით გადადიან.. ქალაქის საბჭო—მილიციის შენობაში, მილიცია—ბავშთა კონსულტაციაში, ხოლო ბავშთა კონსულტაცია კი უბინაო დარჩება.

2) იოსებ ჩიტაიშვილი თუ ნახე სიზმარში—ცუდია, პარტმანდატი გაგიფრინდება, სახლს გაგიჩხრეკენ და აღმოგიჩენენ აუარებელ „კონტრაბანდა“ საქონელს.

3) პროფკავშირები თუ ნახე —აუცილებლათ დაგეძინება მუშაობის დროს და სულ დაგავიწყდება ყოველნაირი კამპანიები.

4) თუ სიმონ ბერაია ნახეთ სიზმარში, საბჭოს თავმჯდომარეობას არ იკადრებთ, უარს განაცხადებთ და ვერ დათმობთ „ინჟენერის“ პორთფელს.

5) თუ მოსე კვალიაშვილი ნახეთ—თავს ცრუ დამკვრელათ გამოაცხადებთ.

6) თუ ზებო ზახაროვი და გიორგი კეველიშვილი გესიზმრათ—იცოდეთ, რომ კინოს უკან მოთავსებულ „ეპო“-ს საწყობიდან ქურდულათ კალათებით და პალტოს ქვეშ ამოფარებული საქონელს გაატანთ ნაცნობ-მეგობრებს, რომელიც სოფლის კოოპერატივებისათვისაა გამზადებული.

**ლახტი.**

# „კოოპერატორის" ზრუნვა

სოფლის კოოპერატივები დამზადებულ კვერცხს დიდხანს სტოვებენ ადგილობრივ. რის გამო ქალაქში გადაგზავნილი კვერცხის დიდი ნაწილი ლაყდება...

გაზეთებიდან



„კოოპერატორი". კვერცხის გაგზავნას ის არ სჯობია წიწილები გამოვჩეკო და ვარიები გავუგზავნო ქალაქში?

## სამთა გოდება

სტალინისის სადგურზე ერთმანეთს შეხვდენ რაიმიწატყის კავშირის მომუშავე ბორია ხოზბეროვი და რაიკოლმეურნეობათა კავშირის მდივანი შალიკო წერეთელი.

— გამარჯობა შალიკო! კაცო ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, ვინ ჩაგვაგდო გაზეთში?

— რა ვიცი ჩემო ძმაო, კი დამწერეს ეს ვიცი, ვეძებ დამწერს ვეძებ და ვერ მიმიკვლევია. თუ მივაგენი, მოუკლავს არ გაუშვებ...

— კი მაგრამ შენ ხომ გაფლანგე 800 მანეთი და არც გადაგიხდია, მე კი დედაჩემი დავაფაცურე და ჩემს მიერ ყალბი ქვითარებით მიღებული ფული უკან დავაბრუნე. სასამართლოშიც ვიყავი გადაცემული, მაგრამ ქალებიs პროტექციამ—აქაც მიშველა და საქმე მოსპეს...

— მე კაცო „ვიდვიჟენიას" მიკეთებდენ და დამღუპა ის ვიღაცა „ძრავია", თუ რაღაც ეშმაკი.

— შენ ჩემი სიტყვი ჩამოერია მათ ლაპარაკში რაიკოლმეურნეობათა კავშირის ინსტრუქტორი გიორგი ხარაზოვი.

— რაიმემინდვრეობის კავშირის თავმჯდომარეობის ადგილს ვეტარინე მთელი ექვსი თვე და ეხლა უარი მტკიცეს. დამწერეს „რემედასის" ფულები გაფლანგაო. მე რევოლიუციონერების ფულების ჭამას როგორ ვიკადრებდი! ხელში კოოპერაციის ნოქრად ყოფნის დროს დამაკლდა რამოდენიმე თუმანი. არა, ჩვენთვის რომ ვსთქვათ, კი არ დამაკლდა და ხელი მოვინაცვლე.

შოლტკორი კი შორი-ახლოდან უყურებდა მათ და იწერდა ამ სტრიქონებს...

ჰაკუწია მიშა.

## უშველეთ!

ჩვენშიაც დადგეს რადიო და
ყველას გაუხარდა,
კულაკების, მკითხავების
სოფლის მტრების გარდა.
ის პირველ დღეს, როგორიც იყო,
ძლივს-ღა ახრიალდა,
შემდეგ, რატომ, აღარ ვიცი
ენა ჩაუვარდა...
ეხლაც ასე დგას მდუმარედ,
როგორც პატარძალი,
მას შესცქერის მგლოვიარეთ
ტყაოა — ბეჟახლდალი...
მას პატრონად არვინ უჩანს
უქმად იკარგება.
ანტენა, ხომ მოიპარეს,
სხვებიც ნიავდება.
საჭიროა, რომ განვკურნოთ
ეს რადიო მუნჯი,
თორემ ხარჯი რაც გავწიეთ
შეიქნება ფუჭი.

ალიკო

## მგელი-ჩირა-ღდანით

არ გიწყინოს მართალი,
მელიტონო, მამაო,
და ნუ იტყვი იმასაც—
მტრულად მიყო სხვამაო.

—:—

მასწავლებლად ბრძანდები
ფიქრობ ყველაფერი ხარ,
მაგრამ, კაცო იცოდე,
ჯერ კიდევაც მღვდელი ხარ.

—:—

შენ ჯგალს უნდა მოშორდე-
ფართე მასა გიყურებს,
აწ არავინ შეგაჭმევს
ძველებურად დიდ პურებს.

—:—

მოწაფეებს ნუ კარგავ
ჩვენ არ გვინდა მღვდლები,
მუქთა-ხორა—წურბელა
მშრომელების მტრები.

ია.

## ჩვენი ფოსტა

**გ. ხარაზს.** ვანში. თქვენი გრძელი ლექსიდან ვიღებთ მხოლოდ ერთ ადგილს, რომელმაც საგონებელში ჩაგვაგდო:

ლევიძემაც გადახანსლა
ანგარიში ას თუმნამდე
ერთი ვაგონი სიმინდიც
შიიდუა სახთუმალზე.
ცოტა ხნით ციხეში ჯდომას—
აპა მითხარ, რათ ჩააგდებს?..

სოლცარი კაცი ყოფილა ეგ თქვენი „კოოპერატორი" ლევიძე. ყველა მფლანგველი ფულს სჭამს, მაგას კი, როგორც თქვენი ლექსიდან სჩანს, ასი თუმნის ანგარიში გადაუსანსლავს მხოლოდ... ეს კიდევ არაფერი, მას როგორც ეტყობა ერთი ვაგონი სიმინდი შეუჭამია... ეს ამბავი კი მართლა იმვიათია!.. და ამის შემდეგ თქვენ მის ციხეში ჩასმაზე ლაპარაკობთ..

რა ციხე და გამსახლი გაუძლებს ისეთ კაცს, რომელიც ხელდახელ ერთ ვაგონ სიმინდს სჭამს?! ან რამდენი მილიციელი და რამდენი პროკურორი იქნება საჭირო მის დასაპატიმრებლად?!

**ჭინჭრაქას.** მოგვყავს თქვენი ლექსის ნაწყვეტი:

წარა-
მარა
ლექსი კმარა...
ფული დახლ...
გაიპარა.
ეხლა გამგეც
არსადაა,
აღარც ბიჭი,
აღარც ფარა...

ძალიან დაღონებულხართ გამგის უკვალოდ დაკარგვით. მოიკითხეთ გამსახლში... ალბათ იქ არის.

**ჭინჭარს.**

იმდენი ლექსი გიგზავნოთ,
ვერ ზიდოთ გრუზავიკებით—
დაბეჭდეთ, ნუ გეზარებათ
ბზესავითა მაქვს ლექსები...

ასე იწერებით თქვენ. ჩვენი პასუხი კი ასეთია: ან ჩვენ შევვიბრალეთ, ან ქაღალდი, ან მელანი ან ჩვენი გოდორი..

1930

# საანგარიშო მოხსენების წინ



ზოგიერთი საბჭოს თავმჯდომარე

Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук